



ახალგაზრდუნ ადვოკატები
YOUNG BARRISTERS



„ქართული სკოლის“ საქმე

„GEORGIAN SCHOOL'S“ CASE



პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

Part of the
ProCredit Group

სამართლებიანი დასაჯან
და ხანოთანდასიანი

„ქართული სკოლის“ საქმე



სამართლებრივი დასკვნა და
რეკომენდაციები

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
ივლისი, 2019 წ.
ქ. თბილისი

**მონიტორინგის პროცესში მონაწილეობდა
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი**

*არჩილ კაიკაციშვილი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი;
ზურაბ ახოზაძე, კომუნიკაციის მენეჯერი
ნიკა გოგბერაშვილი, იურისტი;
სოფიო მექანარიშვილი, იურისტი;
ანა ფუტყარაძე, იურისტი;
ლიკა ლემონჯავა, იურისტი;
გიორგი ლაბაძე, საერთაშორისო ურთიერთობების იურისტი, თარგმანი
ია გოგნაძე, მრჩეველი იურისტი*

მარიამ ხიზანიშვილი
ფინანსური მენეჯერი

☐ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობისა და განხორციელებული/მიმდინარე კვლევების, პროექტებისა და დასკვნების შესახებ, ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: www.barristers.ge

FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi

<http://www.youtube.com/youngbarristers>

მისამართი: საქართველო, თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის #12

ორგანიზაციის ტელეფონი: 2 953518, 599 291202

ორგანიზაციის კომუნიკაციის მენეჯერი, ზურაბ ახოზაძე – 599 291202

ელექტრონული ფოსტა: Pryoungbarristers@yahoo.com;

Pryoungbarristers@gmail.com

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094

დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი

ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაჭალის ფილიალი

ანგარიშის ნომერი: GE46PC0483600100003241



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

1. შესავალი

ორგანიზაცია წინამდებარე კვლევის ფარგლებში წარმოადგენს მნიშვნელოვან დასკვნებს, რომელიც შეეხება ორი ფუნდამენტური კონსტიტუციური უფლების - საკუთრებისა და განათლების უფლებათა ურთიერთქმედების შედეგად დამდგარ შედეგებს ქართულ რეალობაში, რა დროსაც, საკუთრების უფლების დაცვის უპირატესობით, შესაძლებელი გახდა განათლების უფლების უგულვებელყოფა და არასათანადო ჩარევისა და გადაწყვეტილებების შედეგად, დახურვის წინაშე დააყენეს რეგიონული მნიშვნელობის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულება - „ქართული სკოლა“, რამაც მნიშვნელოვანი დარტყმის ქვეშ ჩააყენა, როგორც განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობა, არამედ მესაკუთრეთა უფლებები და მოუსპო მათ საარსებო შესაძლებლობა.

საქმე ეხება ქართულ სკოლას, როგორც ერთ-ერთი წარმატებული საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელმაც ქ. ქუთაისში საქმიანობა დაიწყო 2008 წლიდან, თუმცა ქართული სკოლის სახელწოდებით, დაფუძნდა 2011 წლის 5 დეკემბერიდან. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულების იურიდიულ ფორმად განისაზღვრა შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომლის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი გახდა დირექტორი მაია ჩიქოვანი. კომპანიის პარტნიორები, ამავე ამონაწერის მიხედვით, გახდნენ: მაია ჩიქოვანი - 25%, ირაკლი ნოსელიძე - 25% და მერაბ გვაზავა - 50%. სკოლაში 100 მოსწავლე სწავლობდა, ხოლო მათ 33 კვალიფიციური პედაგოგი ემსახურებოდა. ვინაიდან სკოლამ მალევე მოიპოვა წარმატება, განსაკუთრებული სასწავლო პროგრამების წყალობით, დღის წესრიგში დადგა სკოლის გაფართოებაზე ზრუნვა და ისეთი მიზნების დასახვა, რომელიც საშუალებას შექმნიდა მეტი წარმატებით განხორციელებულიყო განათლების ხელმისაწვდომობა. 2012 წელს სკოლამ მოიპოვა ავტორიზაცია და ს.ს. „პროკრედიტ ბანკთან“ გაფორმებული სასესხო ვალდებულების პირობებში, მიღებული თანხით, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის მიზნით, შექმნილ იქნა შენობა-ნაგებობა.

სკოლაში, საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული სასწავლო პროგრამების და საათობრივი ბადისაგან განსხვავებით, გაძლიერებულად ისწავლებოდა, როგორც ჰუმანიტარული, ასევე ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ასეთივე დატვირთვით მიმდინარეობდა გერმანული და ინგლისური ენების შესწავლაც. დღის მეორე ნახევარში, სხვა-

დასხვა ასაკობრივ ჯგუფში, ასევე სავალდებულოდ ითვლებოდა საზღვარგარეთის ლიტერატურის, მითოლოგიის, ხელოვნების და მუსიკის კინოსა და თეატრის ისტორიის, მეტყველებისა და წერიტი მეტყველების კულტურის სწავლება, რაც ეხმარებოდა ბავშვებს, როგორც ლიტერატურული და მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში, ასევე ინტელექტის განვითარებასა და თვალსაწიერის გაფართოებაში. ამ ამოცანების დაძლევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანურ რესურსს. ამისათვის სკოლაში მოწვეულ იქნენ ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და გამოცდილი პრაქტიკოსი მასწავლებლები.

ორგანიზაციამ სკოლის საქმიანობის შესწავლისა და შეფასების მიზნით, დამატებითი ინფორმაცია გამოითხოვა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხრიდან. კერძოდ, 2019 წლის 17 ივნისს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წერილით მიმართეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს და მოითხოვეს ინფორმაცია, ეროვნული ცენტრის მიერ შპს „ქართული სკოლას“, თუ როდის მიენიჭა ავტორიზაცია, არის თუ არა მოქმედი ავტორიზაცია დღევანდელი მდგომარეობით და ავტორიზაციის მინიჭებამდე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა¹.

2019 წლის 20 ივნისის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES 1 19 00808574 წერილით, ორგანიზაციას ეცნობა, რომ შპს „ქართულ სკოლას“ საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 22 მარტის #115 გადაწყვეტილებით, 5 წლის ვადით მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით. საგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაციის ვადა ამოეწურა 2017 წლის 22 მარტს².

2019 წლის 25 ივნისის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES 7 19 00848648 წერილით, ორგანიზაციას მიეწოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომელიც 2012 წლის 7 მარტის მდგომარეობით თარიღდება³.

¹ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2019 წლის 17 ივნისის წერილი #180 სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ.

² 2019 წლის 20 ივნისის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES 1 19 00808574 წერილი.

³ 2019 წლის 25 ივნისის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES 7 19 00848648 წერილი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ნელი ნასყიდაშვილი, ჯგუფის წევრები: მაკა ტუკვაძე, ნანა ბარნაბიშვილი.

ორგანიზაცია ყურადღებით გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა შპს „ქართული სკოლის“ საქმიანობას და საგანმანათლებლო სტატუსს:

- შპს „ქართული სკოლის“ მისიაა აღზარდოს მოაზროვნე, განათლებული, ორიენტირებული, ჯანმრთელი, ადაპტაციის უნარის მქონე, კომუნიკაბელური პიროვნება, რომელიც თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებს უპასუხებს. შეძლებს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრებას ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტურად გამოყენებას. იქნება კანონმორჩილი, ტოლერანტი, მიზანდასახული;
- სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნებისა და ინდივიდუალიზმის განვითარებას. ნაყოფიერი ცხოვრებისათვის მათ მომზადებას. მოტივაციის ამაღლებას. მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. მშობელთა ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში;
- სკოლა მონოდებულია შექმნას უსაფრთხო სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეები ეზიარებიან ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, განივითარებენ პოზიტიურ უნარ-ჩვევებს;
- სკოლა თემთან თანამშრომლობით იღებს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციას. სკოლის სტრატეგია სკოლის მისიისა და მიზნების განხორციელების შორს გამიზნული კონცეფციაა;
- სკოლის ძირითადი სამოქმედო პრინციპებია: ორგანიზებულობა, თანამშრომლობა, პასუხისმგებლობა, შემოქმედებითობა, რესურსის (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური) ოპტიმალური გამოყენება. საქმიანობა ეფუძნება შედეგების ანაზღის, კვლევას, განვითარების გზების მუდმივ ძიებას, საერთო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.
- სკოლის სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. დაწესებულებაში სწავლება დაგეგმილია 6 დღეზე. ისწავლება ყველა სავალდებულო საგანი. შემუშავებულია ყველა კლასის, საგნის სასწავლო პროგრამა, რომელიც გამომდინარეობს მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. დაწესებულებაში შექმნილია 7 საგნობრივი კათედრა;
- დაწესებულებას შემუშავებული აქვს მოსწავლის ცოდნისა და უნარების შეფასების რუბრიკების ნიმუშები საგნების მიხედვით და ამ ნიმუშების მოსწავლეთათვის გაცნობის მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება. მშობლის საინფორმაციო ფურცელი. მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით;

- დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი. დაწესებულება განთავსებულია ორსართულიან შენობაში. პირველი სართულის შესასვლელში მოწყობილია მანდატურის ოთახი. ამავე სართულზეა 7 საკლასო ოთახი, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, ექთნის ოთახი და სველი წერტილი. მეორე სართულზეა 6 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, სველი წერტილი. დაწესებულებას აქვს 243 ინდივიდუალური და 15 ორადგილიანი მერხი, 278 სკამი, 16 კომპიუტერი, დაფები, რუკები, პლაკატები და სხვადასხვა სასწავლო პროცესისთვის საჭირო თვალსაჩინოებები. სულ საკლასო ოთახების რაოდენობაა - 13;
- დაწესებულებამ შპს „სამაიასაგან“ შეიძინა ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორია, ხოლო ფიზიკის (77 დასახელების 128 ერთეული) და ქიმიის (77 დასახელების 222 ერთეულის შემცველი) ლაბორატორიები საჩუქრად მიიღო ფიზიკური პირისგან. აღნიშნული ლაბორატორიები შეესაბამება მოცემულ სტანდარტს;
- დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი განსაზღვრულია 1061 ერთეულით. აქედან 174 არის სასწავლო გეგმის შესაბამისი სახელმძღვანელო. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, წიგნები განლაგებულია თემატურად, ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ყველა კლასის და საგნის სახელმზღვანელო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- დაწესებულებას აქვს სსსმ მოსწავლისათვის ადაპტირებული შესასვლელი, სველი წერტილი. გამზადებულია ხის 2 პანდუსი. დაწესებულებაში არსებობს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საწარმოების მქონე მოსწავლეებისათვის;
- დაწესებულებას აქვს კომპიუტერული კაბინეტი, სადაც განთავსებულია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, 2 პრინტერ-სკანერი, დაწესებულებას სულ აქვს 16 კომპიუტერი, დაწესებულების ვებ-გვერდია www.georgianschoo.ge რომელზეც განთავსებულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი და ექვსწლიანი განვითარების გეგმები. მონაცემები სკოლის შესახებ;
- დაწესებულებამ შეიძინა ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები. დაწესებულებას დამონტაჟებული აქვს უსაფრთხოების 6 კამერა;
- დაწესებულებას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა-სწავლების პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი: 33 პედაგოგი. ადმინისტრაციის 10 წევრი და ტექნიკური პერსონალი (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმის მწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკის გამგე, ექთანი, ბულალტერი, 2 დამლაგებელი). 3 პედაგოგს

ჩაბარებული აქვს სასერტიფიკაციო გამოცდა. ერთ პედაგოგს აქვს სსსმ სწავლების კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი. დაწესებულების მასწავლებლები შერჩეულნი არიან კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია;

- დაწესებულების ადმინისტრაციას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები: მასწავლებლებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარება, გაკვეთილებზე დასწრება, სასწავლო წლის განმავლობაში პროფესიული განვითარების ტრენინგები;
- დაწესებულების შინაგანანგის, თანამდებობრივი ინსტრუქციის და წესდების მიხედვით, განსაზღვრულია დირექციის, ადმინისტრაციის წევრების, მასწავლებლის, პედაგოგის, მოსწავლის უფლება-მოვალეობები, დამრიგებლის ფუნქციები, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შინაარსი, ინსტრუქციების კონკრეტულობა, ნახალისებისა და სანქციების სისტემის გამჭვირვალობა საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნა, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო⁴.

ამასთან, ორგანიზაციამ უშუალოდ სკოლის ხელმძღვანელი პირებისგან მიიღო დაწესებულების მიღწევებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია - სკოლის მოსწავლეები ჩართული იქნენ, როგორც საქალაქო, ასევე რესპუბლიკურ და საერთაშორისო ოლიმპიადებსა თუ კონფერენციებში. ასე მაგალითად: 2013–2014 წლებში, ქართული სკოლის მეცხრე და მეთექვსმეტე კლასის მოსწავლეები ჩართულ იყვნენ ევროკავშირის FP7 ჩარჩოს პროგრამის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო პროექტში: „CHAIN REACTION“ („ჯაჭურის რეაქცია“), რომლის კოორდინატორიც გახლდათ შეფილდ ჰალამის უნივერსიტეტი (ინგლისი), ხოლო საქართველოში პროექტის ორგანიზატორი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელმაც მთელი საქართველოს მასშტაბით, კონსკურსის წესით, შეარჩია პროექტში მონაწილეობის მისაღებად, სულ 5 სკოლა, რომელთა შორისაც მონინავე ადგილი დაიჭირა ქართულმა სკოლამ. სკოლამ კვლევის საწარმოებლად მიიღო გრანტი 2000 ევროს ოდენობით, თუმცა დამატებითი კვლევების საწარმოებლად, საჭირო გახდა ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სამეცნიერო ლაბორატორიის გამოყენება. მოსწავლეებმა გამოცდილი პედაგოგების - ეკა ბერძენაძისა და თეა ქუთათელაძის დახმარებით, წარმატებით გაართვეს თავი ძალზედ სერიოზულ კვლევით სამუშაოს და ეროვნული კონფერენციისთვის მოამზადეს პრეზენტაცია, თემაზე: „მცენარეები კოსმოსში“, სადაც ქართულმა სკოლამ მეორე ადგილი მოიპოვა. ეს დიდი წარმატება იყო ამ სკოლისა-

⁴ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

თვის, რაც მეტყველებდა სასწავლო პროცესის სწორ დისციპლინასა და შრომისუნარიანობაზე. სკოლის მოსწავლეები, ასევე, ენის სხვადასხვა დონის ბარიერის დაძლევის მიზნით, მონაწილეობდნენ გოეთეს ინსტიტუტის მიერ მოწყობილ ტურებშიც. მეტიც, სკოლაში გერმანული ენისა და ლიტერატურის გაძლიერებულმა სწავლებამ და პოპულარიზაციამ წარმოშვა ინიციატივა და იდეა, რომ ქართული სკოლა გარდაქმნილიყო გერმანულენოვან სკოლად, რისთვისაც დაწყებულ იქნა სხვადასხვა ორგანიზაციული ხასიათის მოქმედებების განხორციელება და იდეას მხარი დაუჭირეს სკოლის მოსწავლეთა მშობლებმაც.

სკოლის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, აგრეთვე ისიც, რომ კურსდამთვრებულები, თითქმის გამონაკლისის გარეშე, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, მაღალი შედეგებით ხდებოდნენ ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტის სტუდენტები. მათ შორის, უკვე რამდენიმე კურსდამთავრებულის შესახებ შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომლებმაც მომავალ საქმიანობად მეცნიერული სწავლება აირჩიეს. მაგალითად, ოთარ გაბუნია, რომელიც ამჟამად სამეცნიერო მივლინებით იმყოფება მიუნხენში (გერმანია) და წარმატებით მუშაობს ასირიოლოგიაში. თეიმურაზ ცაგარეიშვილი (ბიზანტიოლოგიის მიმართულებით) და ლილე ემნაძემ, რომლებმაც მომავალი პროფესიული საქმიანობა დაუკავშირა ხელოვნების სფეროს. დავით მაჭავარიანი, რომელიც გახდა პრეზიდენტის სტიპენდიანტი, ხოლო მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი დღესაც ეუფლებიან მედიცინის სხვადასხვა დარგს. მიუხედავად სკოლის აკადემიური მოსწრების, წარმატებებისა და სწავლების ხარისხის მაღალი მაჩვენებლებისა, 2013 წელს სკოლა აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემების წინაშე, ინფლაციური მოვლენების შედეგად, გართულდა ბანკთან აღებული ფინანსური ვალდებულებების გადახდა. ინფლაციამ და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ პირდაპირი ასახვა ჰპოვა მშობელთა ბიუჯეტზე და შესაბამისად, ეს აისახა სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობაზე. სკოლას, სწავლის საფასურთან დაკავშირებით, გრძელვადიანი ხელშეკრულებები დადებული ჰქონდა მოსწავლეთა მშობლებთან, რაც ცალმხრივად თანხის გაზრდის შესაძლებლობას არ იძლეოდა. სკოლის შემოსავალმა ველარ უზრუნველყო სასესიო ვალდებულების მომსახურება. სკოლამ 2 წელიწადსა და 2 თვეში, ბანკის მიმართ, მხოლოდ 55000 აშშ დოლარის გადახდა მოახერხა.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წინამდებარე კვლევა საჯარო და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი 2019 წლის ივლისის თვიდან გახდა. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საქმეზე კვლევას და საზოგადოებრივ კონტროლს გააგრძელებს. წარმოდგენილი კვლევა მიენოდათ აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, დიპლომატიურ კორპუსს, სამოქალაქო ორგანიზაციებსა და მედიას.

2. შპს „ქართული სკოლა“ V.S. ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“

2012 წლის 30 ნოემბერს, შპს ქართულ სკოლასა და ს.ს. „პროკრედიტ ბანკს“ შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება No FW1.607⁵. ამ ხელშეკრულებით, ბანკის მიმართ სოლიდარული მსესხებლები, ქართულ სკოლასთან ერთად, გახა მისი პარტნიორი: მერაბ გვაზავა, რომელიც წარმოადგენდა კომპანიის 50% წილის მფლობელს⁶. ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულებების უზრუნველყოფისთვის, 2012 წლის 22 ნოემბერს, ს.ს. „პროკრედიტ ბანკსა“ და ქართული სკოლის 50%-იანი წილის მფობელ მერაბ გვაზავას შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება⁷, რომლითაც მერაბ გვაზავას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მისამართზე: ქ. ქუთაისი, გელათის ქუჩა #44, ს/კ 03.03.21.070.01.509, დაიტვირთა ბანკის სასარგებლოდ.

წინამდებარე გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, ქართული სკოლის მიმართ გაცემულმა საკრედიტო ლიმიტმა შეადგინა 50 0000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარი. ლიმიტის მოქმედების ვადად განისაზღვრა - 360 თვე. მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი (წლიური) - არაუმეტეს წლიური 36%-ისა. მხარეთა შეთანხმებით, იმ შემთხვევაში, თუ ბანკის ანგარიშზე არ ჩაირიცხება ფული კრედიტის დაბრუნების გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაში, ბანკი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შესაბამისი გადასახდელი თანხის არაუმეტეს 0.5% ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ხელშეკრულების მე-9 მუხლით განისაზღვრა შემდეგი: ა) პირგასამტეხლოს დაკავება ბანკის მიერ ხორციელდება მორიგი გადახდის დროს, ბ) პირგასამტეხლოს დარიცხვა ვალდებულების სრულ შესრულებამდე გრძელდება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბანკი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და არაჯეროვნად შესრულებისთვის მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას და გ) პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

წინამდებარე გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ პირობაზეც:

⁵ 2012 წლის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება შპს „ქართულ სკოლასა“ და ს.ს. „პროკრედიტ ბანკს“ შორის;

⁶ 2012 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულება სოლიდარული ვალდებულების შესახებ NO670570386-041;

⁷ 2012 წლის 22 ნოემბრის იპოთეკის ხელშეკრულება ს.ს. „პროკრედიტ ბანკსა“ და მერაბ გვაზავას შორის;

- მსესხებლის ვალდებულებები, ასევე უზრუნველყოფილი იქნება შემდგომში გასაფორმებელი იპოთეკების, გიროვნებებისა თუ სხვა ტიპის ხელშეკრულებებით,
- მსესხებლის, გარანტის, თავდების ან სუბსიდანტის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების ან ამგვარი საფრთხის დადგომის შემთხვევაში, აგრეთვე იპოთეკისა ან გიროს საგნის განადგურების, ღირებულების შემცირების ან დაზიანების შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია წარმოუდგინოს ბანკს სხვა დამატებითი უზრუნველყოფა, რომელსაც ბანკი აირჩევს,
- მსესხებელი თანახმაა, რომ ბანკმა იძულებითი გადახდევინება მიაქციოს მსესხებლის კუთვნილ ნებისმიერი (მათ შორის არაუზრუნველყოფილი) ქონებაზე. ამასთან, არ არის აუცილებელი, მსესხებლის მიმართ არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით იძულებითი აღსრულება შეეხოს თავდაპირველად უზრუნველყოფილ საგნებს. ბანკის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია იძულებითი აღსრულება თავდაპირველად დაინყოს მსესხებლის კუთვნილ სხვა ქონებაზე;
- მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა (ან შეუსაბამობა ამ ხელშეკრულების პირობებთან) ანიჭებს ბანკს უფლებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მიიღოს დაკმაყოფილება წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებების საგნებიდან;
- მსესხებელი ცალსახად აცხადებს და ადასტურებს, რომ იცნობს წინამდებარე გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი, მითითებული, გათვალისწინებული ხელშეკრულებების (იპოთეკა, გირავნობა სოლიდარული ვალდებულების ხელშეკრულება და სხვა) შინაარსს და უპირობოდ ეთანხმება მათ.

2014 წლის 19 აპრილს, ს.ს. „პროკრედიტ ბანკსა“ და მერაბ გვაზავას შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება No 1.6615⁸. კრედიტის მოცულობამ შეადგინა - 123 000 (ასოცდასამი ათასი) აშშ დოლარი. კრედიტის ვადად განისაზღვრა - 121 თვე. ვადაგადაცილების პირგასამტეხლოდ - ვადაგადაცილებული თანხის 0.5%-2%, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ხელშეკრულება წარმოადგენდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ნაწილს და მხარეთა შორის შეთანხმდა იმავე პირობებით.

2015 წლის 23 თებერვლის წერილით, ს.ს. „პროკრედიტ ბანკმა“ მერაბ გვაზავასგან მოითხოვა არსებული მდგომარეობით ვალდებულების დარღვევი-

⁸ 2014 წლის 19 ივნისის საკრედიტო ხელშეკრულება No 1.6615 ს.ს. „პროკრედიტ ბანკსა“ და მერაბ გვაზავას შორის;

დან წარმოშობული დავალიანების დაფარვა და მოვალე გააფრთხილა საქმის სასამართლოს მიმართ გადაგზავნის თაობაზე⁹. წერილში აღნიშნა, რომ მერაბ გვაზავას დავალიანება არსებული დღისთვის წარმოადგენდა 7020.93 აშშ დოლარი (1877.51 აშშ დოლარი - ძირი თანხა, 4117.83 აშშ დოლარი - პროცენტი, 1025.59 აშშ დოლარი - ჯარიმა). ბანკმა მერაბ გვაზავას დაუდგინა 14-დღიანი ვადა ვალდებულების სრულად შესრულებისთვის და აღნიშნა, რომ თუ ამ ვადაში არ მოხდებოდა ვალდებულების შესრულება, ბანკი მიმართავდა სასამართლოს მხარეთა შორის არსებული ყველა საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტის, კრედიტის მთლიანი თანხის, მასზე ვადის ბოლომდე დარიცხული პროცენტის, პირგასამტეხლოს და ამ პროცესთან დაკავშირებული ყველა თანმდევი ხარჯის გადახდის დაკისრების მოთხოვნით. ასევე, მოთხოვნილ იქნებოდა სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია სასესხო დავალიანების დაფარვის მიზნით.

2015 წლის 20 მარტის ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ წერილის თანახმად, მერაბ გვაზავას მიერ 2014 წლის 19 ივნისის ხელშეკრულებით აღებული სესხი 2014 წლის 28 ნოემბრიდან იმყოფებოდა ვადაგადაცილებაში. 2015 წლის 20 მარტის მდგომარეობით, მერაბ გვაზავას გადახდილი გააჩნდა 8,461.99 აშშ დოლარი¹⁰.

2016 წლის 12 თებერვალს, მერაბ გვაზავამ წერილით მიმართა ს.ს. „პროკრედიტ ბანკს“ და შესთავაზა წინადადება შემდეგი პირობებით: „აღებულ სესხს კეთილსინდისიერად ვიხდიდით 3 თვის განმავლობაში, თუმცა შემდეგში სკოლა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდა, მკვეთრად შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობა, რის გამოც ვერ შევძელით გრაფიკის მიხედვით სესხის გადახდა. ს.ს. „პროკრედიტ ბანკმა“ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თანხის დაკისრება და იპოთეკით დატვირთული ქონებების რეალიზაცია. სესხის გაპრობლემურების შემდეგ, ვცდილობთ, ჩვენ თვითონ მოვახდინოთ იპოთეკით დატვირთული სკოლის შენობის რეალიზაცია, რათა მიღებული თანხით დავფაროთ დავალიანება. ამ მიზნით რამდენჯერმე გავიტანეთ ადმინისტრაციული შენობა აუქციონზე და განთავსდა ვებ გვერდზე www.e-auction.ge.

როგორც იცით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ სარჩელის განხილვა მიმდინარეობს, ხოლო უძრავი ქონების რეალიზაცია ჯერ ვერ მოხერხდა. ამდენად, გვინდა შემოგთავაზოთ უძრავი ქონება

⁹ 2015 წლის 23 თებერვლის ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ წერილი მერაბ გვაზავას მიმართ;

¹⁰ 2015 წლის 20 მარტის ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ წერილი სასამართლოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს მერაბ გვაზავას ვალდებულებასთან დაკავშირებით.

მდებარე: ქუთაისი, მესხის #19, გადავიდეს ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ საკუთრებაში გამოსყიდვის უფლებით. იმ შემთხვევაში, თუ უძრავი ქონების ბანკის საკუთრებაში აღრიცხვა მიუღებელია ბანკისთვის, გთავაზობთ თანხის გადანაწილებაზე ჩვენს წინადადებას, რაც შესაბამისობაშია შპს „ქართული სკოლის“ ამჟამინდელ შემოსავალთან. კერძოდ, თანახმა ვართ სესხის ძირი თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი გადავიხადოთ 96 თვის ვადაში, შემდეგი გრაფიკით:

- 2017 წლის იანვრიდან - 2018 წლის იანვრამდე გადავიხდით ყოველთვიურად 500 აშშ დოლარს;
- 2018 წლის თებერვლიდან - 2019 წლის თებერვლამდე ყოველთვიურად 700 აშშ დოლარს;
- 2019 წლის მარტიდან - 2020 წლის მარტამდე ყოველთვიურად 1000 აშშ დოლარს;
- 2020 წლის აპრილიდან - 2021 წლის აპრილამდე ყოველთვიურად 1200 აშშ დოლარს;
- 2021 წლის მაისიდან - 2022 წლის ივნისამდე ყოველთვიურად 1500 აშშ დოლარს;
- 2022 წლის ივნისიდან - 2023 წლის აგვისტომდე ყოველთვიურად 1700 აშშ დოლარს;
- 2023 წლიდან დავალიანების ამონურვამდე ყოველთვიურად 1800 აშშ დოლარს¹¹.

2016 წლის 21 ოქტომბერს, მერაბ გვაზავამ კიდევ ერთი წერილით მიმართა ს.ს. „პროკრედიტ ბანკს“ და შესთავაზა წინადადება შემდეგი პირობებით: „იმედი გვაქვს, განიხილავთ ჩვენს წინადადებას, გაითვალისწინებთ შპს „ქართული სკოლის“ მძიმე ფინანსურ მდგომარეობას და შევძლებთ შეთანხმებას დავალიანების ეტაპობრივ გადახდაზე. ჩვენი თხოვნის მიუხედავად, არ მოხდა სესხის იმ სახით რესტრუქტურისაცა და ყოველთვიური შესატანი თანხის შემცირება. საბოლოოდ საქმე სასამართლოს გადაეცა. ამ ხნის განმავლობაში, ჩვენ არ შეგვიწყვეტია იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის მცდელობა, მაგრამ სამწუხაროდ, მყიდველი ვერ ვიპოვეთ. 4 აგვისტოს, აუქციონზეც გავიტანეთ შენობა, მაგრამ ცდა უშედეგო აღმოჩნდა. შენობა დავდეთ სხვადასხვა უცხოურ საიტებზედაც, მაგრამ ჯერ-ჯერობით, რეალური მყიდველი არ გამოჩენილა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი მძიმე ფინანსური მდგომარეობა და მივალწიოთ მორიგებას. მორიგების მიზნით, გთავაზობთ, რომ 2016 წლის ნოემბრიდან შედგეს გრაფიკი და ერთი წლის განმავლობაში, ყოველთვიურად დაგვეკისროს 500 აშშ გადახდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ კი ყოველთვიურად გადა-

¹¹ 2016 წლის 12 თებერვლის მერაბ გვაზავას წერილი ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ მიმართ;

ვიხდით 1000 აშშ ამერიკულ დოლარს. შემდგომ წლებში კი, ჩვეულებრივ გავაგრძელებ, ძველი გრაფიკით განერილი თანხის გადახდას“¹².

2018-2015 წლებში, მხარეთა შორის წარმოებდა სააღსრულებლო წარმოებასთან დაკავშირებული სასამართლო დავები, რომელზედაც ქვემოთ გვექნება დეტალური საუბარი, თუმცა საბოლოო ჯამში, ვერც შპს „ქართულმა სკოლამ“ და ვერც მისმა 50%-იანი წილის მფლობელმა მერაბ გვაზავამ ვერ შეძლეს საკუთრების უფლების შენარჩუნება და საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირება.

2018 წლის 28 სექტემბერს, მერაბ გვაზავას, მაია ჩიქოვანს, ირაკლი ნოსელიძესა და შპს „ქართულ სკოლას“ გაეგზავნათ კერძო აღმასრულებლის ზაალ ფირცხალაიშვილის #A18134339-005/002 შეტყობინება სასამართლოს 2016 წლის 14 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ.

2018 წლის 11 ოქტომბერს, მერაბ გვაზავამ წერილით¹³ მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და ითხოვა დახმარება

2018 წლის 12 ოქტომბერს, მერაბ გვაზავამ წერილით მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს და მოითხოვა შუამდგომლობა ს.ს. „პროკრედიტ ბანკთან“ ქონების რეალიზებისთვის დამატებითი ვადის დადგენის შესახებ.

2018 წლის 12 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილით¹⁴, მერაბ გვაზავას განცხადება კომპეტენციის ფარგლებში განხილვის მიზნით გადაეგზავნა საქართველოს ეროვნულ ბანკს.

2018 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს ეროვნული ბანკის წერილით¹⁵, მერაბ გვაზავას ეცნობა, რომ ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, განცხადებაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შედგა სასამართლო და ამ ეტაპზე მიმდინარეობს სააღსრულებლო პროცესი. ამასთან, ბანკი არ არის თანახმა გასცეს დამატებითი ვადა ქონების რეალიზებისთვის. ამასთან, აუქციონის ჩატარების წესი სცილდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული

¹² 2016 წლის 21 ოქტომბრის მერაბ გვაზავას წერილი ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ მიმართ;

¹³ 2018 წლის 11 ოქტომბრის მერაბ გვაზავას წერილი #33292 საქართველოს პრემიერ-მინისტრს მამუკა ბახატაძის მიმართ.

¹⁴ 2018 წლის 12 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის ლევან ერიქაშვილის წერილი GOV 7 18 00033367

¹⁵ 2018 წლის 10 ოქტომბრის საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ფინანსური განათლების დეპარტამენტის უფროსის, ლაშა გზირიშვილის წერილი #2-18/3725

კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებს. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს.

2018 წლის 25 დეკემბერს მერაბ გვაზავამ წერილით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და #18134339 სააღსრულებლო წარმოების ფარგლებში ჩანიშნული იძულებითი აუქციონის შეჩერება მოითხოვა¹⁶. მერაბ გვაზავამ სააღსრულებლო წარმოების შეცერება (იძულებითი აუქციონის არ დანიშნვა) მოითხოვა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სააპელაციო საჩივრით მიმართული ჰქონდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართ.

2018 წლის 27 დეკემბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მერაბ გვაზავას განცხადება შესწავლისა და განმცხადებლის დეტალური ინფორმირების მიზნით გადაგზავნილ იქნა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ¹⁷.

2019 წლის 11 იანვრის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წერილით¹⁸, მერაბ გვაზავას ეცნობა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის #1/2/596 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მეორე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესაძლებლობას სასამართლო კონტროლის გარეშე. ამგვარად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება სასამართლო კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა მოხდეს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილების შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიურო არ არის უფლებამოსილი თავად გადაწყვიტოს შეჩერების საკითხი მაშინ, როდესაც სააღსრულებლო წარმოება დაწყებულია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც მოცემულ შემთხვევაში არის სახეზე.

2019 წლის 8 თებერვალს გამოიცა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს

¹⁶ 2018 წლის 25 დეკემბრის მერაბ გვაზავას განცხადება #01/27498 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ.

¹⁷ 2018 წლის 27 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ლევან როსტომაშვილის #14193 წერილი.

¹⁸ 2019 წლის 11 იანვრის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ნათია ბიძინაშვილის წერილი #1883.

თბილისის სააღსრულებლო ბიუროს განკარგულება A 18134339-017/001, რომლის საფუძველზეც, მერაბ გვაზავას საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. ქუთაისი, მესხის ქუჩა #19, ს/კ 03.01.23.084, დასრულებულ, იძულებით საჯარო აუქციონზე შემძენი გახდა ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ შვილობილი კომპანია - შპს „პრეკრედიტ ფროფერტი (ს/კ 202400482). განკარგულების თანახმად, დასახელებული უძრავი ქონება შეძენილ იქნა 24400 ლარად. ქონების შეძენის მხრიდან გადახდილი თანხიდან, დამატებული ღირებულების გადასახადს შეადგენს 3722.03 ლარი. თანხა გადახდილ იქნა სრულად¹⁹. ამასთან, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებლო ბიუროს 2019 წლის 19 მარტის განკარგულება NA 18134339-021/001 თანახმად, შპს „პროკრედიტ ფროფერტი“ გახდა მერაბ გვაზავას უძრავი ქონების: ქ. ქუთაისი, გელათის ქუჩა #44, ს/კ 03.03.21.070.01.509 მესაკუთრე²⁰.

2019 წლის 15 თებერვლის შპს „პროკრედიტ ფროფერტის“ წერილით მეიჯარე - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქართულ სკოლას ეცნობა, რომ უძრავი ქონების, მისამართზე: ქ. ქუთაისი, მესხის ქუჩა #19, ს/კ 03.01.23.084 მესაკუთრეს წარმოადგენდა წერილის ავტორი და იჯარის საფასურის გადახდა უნდა მომხდარიყო შპს „პროკრედიტ ფროფერტის“ ანგარიშზე²¹.

2019 წლის 22 აპრილს შპს „პროკრედიტ ფროფერტის“ წერილით მერაბ გვაზავას მიეცა გაფრთხილება, ნებაყოფლობით დაეტოვებინა დაკავებული ფართი და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა ახალი მესაკუთრისთვის²².

2019 წლის 6 ივნისს, შპს „პროკრედიტ ფროფერტიმ“ სარჩელი აღძრა მერაბ გვაზავას მიმართ და მოითხოვა, როგორც პირადი, ასევე ქართული სკოლის უძრავი ქონებიდან გამოსახლება - უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთავისუფლება და ქონების გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემა. მერაბ გვაზავამ წარადგინა სარჩელზე შესაგებელი. დავა გრძელდება.

¹⁹ 2019 წლის 8 თებერვლის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებლო ბიუროს განკარგულება A 18134339-017/001

²⁰ 2019 წლის 19 მარტის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებლო ბიუროს განკარგულება NA 18134339-021/001.

²¹ 2019 წლის 15 თებერვლის შპს „პროკრედიტ ფროფერტის“ წერილი;

²² 2019 წლის 22 აპრილს შპს „პროკრედიტ ფროფერტის“ წერილი მერაბ გვაზავას მიმართ;

3. „ქართული სკოლის“ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები

2015 წლის 29 მაისს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ²³ მერაბ გვაზავას, მაია ჩიქოვანის, ირაკლი ნოსელიძისა და შპს „ქართული სკოლის“ მიმართ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, დაკმაყოფილდა ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ სარჩელი, რომლის თანახმადაც, შეწყდა ბანკსა და შპს „ქართულ სკოლას“ შორის გაფორმებული 2012 წლის 30 ნოემბრის #1.607 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება და მოპასუხეებს ბანკის სასარგებლოდ დაეკისრათ 223866.15 აშშ დოლარის გადახდა. სასამართლოს დ/გადაწყვეტილების თანახმად დადგინდა, რომ ვალის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში უნდა განხორციელებულიყო იპოთეკით დატვრთული უძრავი ქონების, მდებარე: 1. ქ. ქუთაისი, გელათის ქუჩა #44, ს/კ 03.01.21.070.01.509, მესაკუთრე: მერაბ გვაზავა, რეალიზება და ამონაგები თანხიდან ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილება, 2. ქ. ქუთაისი, მესხის ქუჩა #19, ს/კ 03.01.23.084, მესაკუთრე: მერაბ გვაზავა, რეალიზება და ამონაგები თანხიდან ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილება. გადაწყვეტილება მიქცეულ იქნა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად და ამ მიზნით დადგინდა სააღსრულებლო ფურცლის გაცემა. მოპასუხეებს, აგრეთვე, სოლიდარულად დაეკისრათ ბანკის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 5000 (ერთი ხუთი) ათასი ლარის გადახდა.

სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება დაეფუძნა შემდეგ გარემოებებს: დადგენილია, რომ სარჩელი და თანდართული საბუთები, 2015 წლის 1 მაისს, მოსარჩელე მხარის მიერ მოპასუხე მაია ჩიქოვანს ჩაბარდა პირადად, ხოლო მოპასუხე მერაბ გვაზავას მიმართ გაგზავნილი ჩაიბარა მისმა მეუღლემ მაია ჩიქოვანმა და მოპასუხე ირაკლი ნოსელიძის მიმართ გზავნილი ჩაიბარა, აგრეთვე მისმა მეუღლემ გვანცა გვაზავამ. მოპასუხეებს წერილობითი შესაგებლის წარმოდგენისთვის განესაზღვრათ 10 (ათი) დღის ვადა, რაც გავიდა 2015 წლის 11 მაისს, თუმცა მოპასუხეების მიერ შესაგებელი წარმოდგენილი არ ყოფილა და სასამართლოს მითითებით, არც მისი წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზის თაობაზე გამხდარა ცნობილი სასამართლოსთვის. მოპასუხეებს სასამართლოსთვის არც შესაგებლის წარმოდგენის ვადის გაგრძელების შუამდგომლობით მიუმართავთ. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების და სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

²³ 2015 წლის 29 მაისის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, საქმეზე: #2/534-15, მოსამართლე: მალხაზ ჩუბინიძე.

2015 წლის 26 ნოემბრის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით²⁴, ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ სარჩელი მერაბ გვაზავას, მაია ჩიქოვანის, ირაკლი ნოსელიძისა და შპს „ქართული სკოლის“ მიმართ, განუხილველად იქნა მიჩნეული. ბანკმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხეების მიმართ 223866.15 აშშ დოლარის გადახდა, ასევე მხარეთა შორის გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და აღნიშნა, რომ ბანკის სარჩელზე თანდართულ მინდობილობაში არსებული ჩანაწერის მიხედვით, სარჩელზე წარმომადგენელს უფლება გააჩნდა ერთპიროვნულად ხელი მოეწერა და სასამართლოსთვის მიემართა მოთხოვნაზე, რომლის საერთო ღირებულება არ აღემატებოდა 100 000 აშშ დოლარს. თუ დოკუმენტის ღირებულება აღემატება 100 000 აშშ დოლარს, წარმომადგენელი უფლებამოსილია ბანკი წარმოადგინოს სხვა იურისტთან ერთად ან იურიდიული განყოფილების უფროსთან ერთობლივად და ა.შ. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელს ერთპიროვნულად აწერდა ხელს ლევან გვენეტაძე, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტის ღირებულება აღემატებოდა 100 000 აშშ დოლარს. სასამართლომ ბანკის სარჩელი განუხილველი დატოვა და დაეყრდნო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სარჩელი (განცხადება) დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება.

2016 წლის 15 დეკემბრის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ სარჩელი მერაბ გვაზავას, მაია ჩიქოვანის, ირაკლი ნოსელიძისა და შპს „ქართული სკოლის“ მიმართ, საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტის, თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რელიზების მოთხოვნით²⁵. სასამართლოს გადაწყვეტილებით:

- შეწყდა ს.ს. „პროკრედიტ ბანკსა“ და მერაბ გვაზავას, მაია ჩიქოვანის, ირაკლი ნოსელიძისა და შპს „ქართული სკოლას“ შორის 2012 წლის 30 ნოემბრის გაფორმებული MULT გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება FW1.607;

²⁴ 2015 წლის 26 ნოემბრის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, საქმეზე: #2/534-15, მოსამართლე: ციცინო კიკვაძე.

²⁵ 2016 წლის 15 დეკემბრის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, საქმეზე: #2/2138-15, მოსამართლე: ციცინო კიკვაძე.

- მერაბ გვაზავას, მაია ჩიქოვანის, ირაკლი ნოსელიძისა და შპს „ქართული სკოლას“ ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ სასარგებლოდ დაეკისრათ 156 593.92 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც სესხის ძირითადი თანხაა 121 719.40 აშშ დოლარის გადახდა, პროცენტი - 33 759 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო - 1 115.52 აშშ დოლარი;
- მერაბ გვაზავას, მაია ჩიქოვანის, ირაკლი ნოსელიძისა და შპს „ქართული სკოლას“ ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ მიყენებული ზიანის სახით სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ვალდებულების სრულად შესრულებამდე, დავალიანების ძირ თანხაზე 121 719.40 აშშ დოლარზე წლიური 14%-ის სარგებლის გადახდა;
- ვალის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში, განხორციელდეს იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. ქუთაისი, გელათის ქუჩა #44, ს/კ 03.01.21.070.01.509, მესაკუთრე: მერაბ გვაზავა და ქ. ქუთაისი, მესხის ქუჩა #19, ს/კ 03.01.23.084, მესაკუთრე: მერაბ გვაზავა, იძულებითი აუქციონის გზით რეალიზება;
- გადაწყვეტილება მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მერაბ გვაზავამ, მაია ჩიქოვანმა, ირაკლი ნოსელიძემ და შპს „ქართული სკოლამ“ სარჩელი ცნო მხოლოდ სესხის ძირითადი თანხის და პროცენტის 33,759 აშშ დოლარის ნაწილში. სასამართლო სხდომაზე მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ გაფორმებული ხელშეკრულებები. ასევე, მხარეთა შორის სადავო არ გამხდარა 2014 წლის 28 ნოემბრიდან სესხის ხელშეკრულების შესრულების ვადაგადაცილების გარემოება. აგრეთვე, გარემოება, რომლის თანახმადაც, მერაბ გვაზავას მიერ 2015 წლის 20 მარტის მდგომარეობით გადახდილ იქნა 8461.99 აშშ დოლარი, საიდანაც ძირითადი თანხაა 1280.60 აშშ დოლარი, პროცენტი - 6374.36 აშშ დოლარი, ჯარიმა - 807.33 აშშ დოლარი. ასევე, არ გაუხდიათ მხარეებს სადავოდ დავალიანების თანხიდან სესხის ძირითადი თანხა 121719.40 აშშ დოლარი. ასევე პროცენტი - 33759 აშშ დოლარი. სარჩელით ს.ს. „პროკრედიტ ბანკმა“ აღნიშნა და მოითხოვა, რომ ბანკისთვის მიყენებული ზიანის სახით, მოპასუხეების მიერ უნდა ანაზღაურებულიყო 67 272.23 აშშ დოლარი, რაც წარმოადგენდა საკრედიტო ხელშეკრულების ვადის ბოლომდე დასარიცხ პროცენტს მიუღებელი შემოსავლის სახით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისთვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა ბანკის მოთხოვნა ამ ნაწილში და აღნიშნა,

რომ მოპასუხებებისთვის წინასწარ სავარაუდო არ შეიძლება ყოფილიყო ზიანის ის ოდენობა, რასაც ბანკი მოითხოვდა, რადგანაც მოპასუხებს გააჩნდათ უფლება ვადაზე ადრეც დაეფარათ კრედიტი და ასეთ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობის გამოთვლა უნდა მომხდარიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 827-ე მუხლით. (თუ კრედიტის ამღები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება, აგრეთვე ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან, ან თუ კრედიტის მიმღებმა განზრახ არ დაუშვა მისი მიღება) ამდენად, სასამართლოს განმარტებით, ზიანის დაკისრება უნდა მომხდარიყო არა პროცენტის სახით დასარიცხი მთლიანი თანხის ოდენობით, არამედ ვალდებულების სრულად შესრულებამდე დარიცხული პროცენტის შესაბამისად, რაც განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეადგენდა წლიურ 14% პროცენტს.

მხარე სარჩელზე შესაგებლით ნაწილობრივ დაეთანხმა სარჩელს. კერძოდ, დაეთანხმა ძირითადი თანხის და სარჩელის შეტანამდე დარიცხული პროცენტის მოთხოვნის ნაწილს და არ დაეთანხმა მოთხოვნის პერიოდის ბოლომდე დასარიცხი პროცენტების მოთხოვნის ნაწილს. მხარე, აგრეთვე არ დაეთანხმა მოთხოვნას იპოთეკის საგნის რეალიზების მოთხოვნას.

მერაბ გვაზავას, მაია ჩიქოვანის, ირაკლი ნოსელიძისა და შპს „ქართული სკოლის“ მიერ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ნაწილობრივ. კერძოდ, მიყენებული ზიანის სახით 2016 წლის 15 დეკემბრიდან ვალდებულების სრულად შესრულებამდე, დავალიანების ძირ თანხაზე 121 719.40 აშშ დოლარზე წლიური 14%-ის სარგებლის გადახდის მოთხოვნის ნაწილში.

2017 წლის 20 აპრილის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით²⁶, სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. სასამართლოს გადაწყვეტილება დაეყრდნო შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილე-

²⁶ 2017 წლის 20 აპრილის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმეზე: #2/ბ-15, მოს-332-2017, მოსამართლე: სიმონ ჩხაიძე.

ბის გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოცემულ შემთხვევაში, დადგინდა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მის გამოცხადებას არ ესწრებოდა მოპასუხეების წარმომადგენელი ლელა ბანძელაძე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის თანახმად, მოპასუხეების წარმომადგენელი ვალდებული იყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადებოდა სასამართლოში და ჩაებარებინა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი. დადგინდა, რომ წარმომადგენელს სასამართლოსთვის უნდა მიემართა არა უგვიანეს 2017 წლის 14 იანვრისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-61 მუხლების თანახმად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. ვინაიდან 2017 წლის 14-15 იანვარი იყო შაბათ-კვირა - არასამუშაო დღე, გადაწყვეტილების ასლის მიღების ბოლო ვადა იყო 2017 წლის 16 იანვარი. საქმის მასალებით ირკვევა, რომ აპელანტების წარმომადგენელმა დასაბუთებული ასლის მისაღებად ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიმართა კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, კერძოდ, 2017 წლის 17 თებერვალს. მოპასუხეებისთვის სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2017 წლის 17 იანვარს და ამოიწურა 2017 წლის 31 იანვარს. საქმის მასალებით გამოირკვა, რომ სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა 2017 წლის 9 მარტს ანუ კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 აპრილის განჩინება გასაჩივრდა საკასაციო წესით.

2017 წლის 4 სექტემბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, მერაბ გვაზავას და მაია ჩიქოვანის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად²⁷.

²⁷ 2017 წლის 4 სექტემბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმეზე: #ას-869-811-2017, მოსამართლე: ეკატერინე გასიტაშვილი.

2017 წლის 4 სექტემბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, მხარეს დაუდგინდა ხარვეზი და განჩინების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში, დაევალა საკასაციო სასამართლოში წარედგინათ შპს „ქართული სკოლის“ დირექტორის მიერ ადვოკატ ლელა ბანძელაძისთვის მინიჭებული ძალაში მყოფი, სათანადო წესით, დირექტორის მიერ ხელმოწერილი და შპს „ქართული სკოლის“ ბეჭდით დამონმებული მინდობილობა ან კერძო საჩივარი ხელმოწერილი შპს „ქართული სკოლის“ უფლებამოსილი პირის მიერ²⁸.

2017 წლის 5 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, შპს „ქართული სკოლის“ კერძო საჩივარი დარჩა განუხილველი. სასამართლოს მიერ მიღებული ასეთი განჩინების სამართლებრივი საფუძველი გახდა დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობა²⁹.

2018 წლის 14 აგვისტოს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეზე: #2/2138-15 გაცემულ იქნა სააღსრულებლო ფურცელი ამავე სასამართლოს 2016 წლის 14 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მიზნით.

2018 წლის 28 სექტემბერს, მერაბ გვაზავას, მაია ჩიქოვანს, ირაკლი ნოსელიძესა და შპს „ქართულ სკოლას“ გაეგზავნათ კერძო აღმასრულებლის ზაალ ფირცხალაიშვილის #A18134339-005/002 შეტყობინება სასამართლოს 2016 წლის 14 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ. აღნიშნულ წერილში აღინიშნა, რომ „ქონებაზე ყადაღის დადებიდან 1 თვის ვადაში ჩატარდება პირველი აქუციონი, რომელზეც სარეალიზაციო ქონების სანყისი ფასი შეადგენს ქონების შეფასების აქტში მითითებული საბაზრო ღირებულების 75%-ს. იმ შემთხვევაში, თუ პირველ აქუციონზე არ მოხდება ნივთის რეალიზაცია, პირველი აქუციონის დასრულებისთანავე დაინიშნება პირველი განმეორებითი აქუციონი, რომელზეც სარეალიზაციო ქონების სანყისი ფასი შეადგენს ქონების შეფასების აქტში მითითებული საბაზრო ღირებულების 50%-ს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირველ განმეორებით აქუციონზეც არ მოხდება ნივთის რეალიზაცია, პირველი განმეორებითი აქუციონის დასრულებისთანავე დაინიშნება მეორე განმეორებითი აქუციონი, რომელზეც სარეალიზაციო ქონების სანყისი ფასი შეადგენს ნულ ლარს. თუ ქონების რეალიზაცია არ მოხდება მეორე განმეორებით აქუციონზეც, აღნიშნული ქონება თავისუფლდება იძულებითი რეალიზა-

²⁸ 2017 წლის 4 სექტემბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმეზე: #ას-869-811-2017, მოსამართლე: ეკატერინე გასიტაშვილი.

²⁹ 2017 წლის 5 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმეზე: #ას-869-811-2017, მოსამართლე: ეკატერინე გასიტაშვილი.

ციის განმხორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისგან და უბრუნდება მოვალეს³⁰.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ქართული სკოლის“ მოიჯარეს, ამ პროცესში წარმოადგენდა შპს „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქართული კლასიკური გიმნაზია“. 2018 წლის 16 ნოემბერს, აღნიშნული იურიდიული პირის მიმართ, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებლო ბიუროს მიერ გაგზავნილ იქნა შეტყობინება და მოიჯარეს მიენოდა ინფორმაცია დანიშნული აუქციონის თაობაზე მასში მონაწილეობის მიღების მიზნით³¹.

2018 წლის 29 ნოემბერს, მერაბ გვაზავამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ქმდების განხორციელების დავალება. კერძოდ, მოპასუხე კერძო აღმასრულებელ ზაალ ფირცხალაიშვილს დავალებოდა ქმედების განხორციელება: იპოთეკის უფლებით დატვირთული ორი უძრავი ქონების, მდებარე: 1. ქ. ქუთაისი, გელათის ქუჩა #44, ს/კ 03.01.21.070.01.509, მესაკუთრე: მერაბ გვაზავა, რეალიზება და ამონაგები თანხიდან ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილება, 2. ქ. ქუთაისი, მესხის ქუჩა #19, ს/კ 03.01.23.084, მესაკუთრე: მერაბ გვაზავა, ხელახალი შეფასება. მერაბ გვაზავა არ დაეთანხმა მის საკუთრებაში არსებული ორი უძრავი ქონების მოპასუხის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტურ შეფასებას. ამასთან, მერაბ გვაზავამ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა კერძო აღმასრულებლის ზაალ ფირცხალაიშვილის წარმოებაში არსებული #18134339 სააღსრულებლო საქმის წარმოების შეჩერება, სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2018 წლის 30 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით³², მერაბ გვაზავას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, არ დაკმაყოფილდა. სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მსჯელობას: აღსრულების შეჩერება და მისი ვადები რეგლამენტირებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლით. ხსენებული ნორმის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლო აღსრულებას აჩერებს: ა)

³⁰ 2018 წლის 28 სექტემბრის კერძო აღმასრულებელ ზაალ ფირცხალაიშვილის წერილი მერაბ გვაზავას მიმართ.

³¹ 2018 წლის 16 ნოემბრის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წერილი ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქართული კლასიკური გიმნაზიას A18134339-013/001

³² 2018 წლის 30 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე: #3/7429-18, მოსამართლე: ხატია არდაზიშვილი.

მოვალე იურიდიული პირის ლიკვიდაციისას – მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე, თუ სასამართლოს მიერ განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობით დაიშვება უფლებამონაცვლეობა, ბ) მოვალის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხის სასამართლოს მიერ განხილვისას – საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისათვის უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მოქმედებაზე საჩივრის შეტანისას – გადაწყვეტილების მიღებამდე, დ) იმ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ სარჩელის წარდგენისას, რომელზედაც მიქცეულია გადახდა, – სადავო ქონებაზე აღსრულების ნაწილში და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღება ემსახურება დავის საგნის დაცვას იმ მიზნით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდეს დაუბრკოლებლად. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფა დროებითი ხასიათის ღონისძიებაა, რომელიც სასამართლოს მიერ სასარჩელო სამართალწარმოების წესით დადგენილი უფლების რეალიზებას უწყობს ხელს, იგი სასარჩელო მოთხოვნის დაცვასა და ეფექტურად განხორციელებას ისახავს მიზნად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას სასამართლო გამოიყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა განმცხადებელი შეძლებს დაამტკიცოს კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა რატომ გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, რატომ გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებადი ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, ასევე უნდა დაასაბუთოს ამ ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა.

სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების მოთხოვნა შეიცავს საპროცესო ვალდებულებას, აღნიშნული მოთხოვნის დასაბუთებისა და შესაბამისი მტკიცებულების წარდგენის შესახებ. სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა რატომ გააძნელებს ან რატომ გახდის შეუძლებელს გადაწყვეტილების აღსრულებას და ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული ღონისძიების გამოყენების დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულებები. სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს დროებით

ლონისძიებას, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს სასამართლო დავის დასრულებამდე გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების საფრთხის თავიდან აცილების, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელების, გამოუსწორებელი და პირდაპირი ზიანის ან ისეთ ზიანის გამონწვევის საფუძვლით, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით.

სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელე ვერ ასახელებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებას, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს აღსრულების შეჩერებას. ამასთან, ზემოხსენებული ნორმა ითვალისწინებს არა აღსრულების შეჩერების სავალდებულობას, არამედ, სასამართლოს უფლებამოსილებას, კონკრეტული კანონით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას შეაჩეროს აღსრულება. განსახილველ შემთხვევაში კი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაზე განცხადებაში არაფერია მითითებული.

2018 წლის 10 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ, გასაჩივრდა.

2018 წლის 21 დეკემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, მერაბ გვაზავას საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გაუქმებაზე, დაუსაბუთებლობის გამო, არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად, გადაგზავნილ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

2019 წლის 10 იანვრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, მერაბ გვაზავას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა³³, უცვლელი დარჩა 2019 წლის 30 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება.

2019 წლის 31 იანვრის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მერაბ გვაზავას სარჩელი არ დაკმაყოფილდა³⁴. სასამართლოს მსჯელობა დაეფუძნა შემდეგ სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს:

³³ 2019 წლის 10 იანვრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმეზე: 33/3491-18, მოსამართლე: გიორგი ტყავაძე.

³⁴ 2019 წლის 31 იანვრის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე: #3/7429-18, მოსამართლე: ხატია არდაზიშვილი.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქონების აღწერის დროს, მისი საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესაძლებლობის შემთხვევაში, ქონების საბაზრო ღირებულება აღინიშნება ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი თუ ქონების აღწერისას ფასების დადგენა შეუძლებელია, ქონებას ყადაღის დადების რეგისტრაციის შემდეგ შეაფასებს აღსრულების ეროვნული ბიურო ან აღსრულების ეროვნული ბიუროს დავალებით სხვა კომპეტენტური პირი.

სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2018 წლის 27 ოქტომბერს შპს „იუვისის“ მიერ გაცემული N01.21.34 დასკვნის მიხედვით - შპს „იუვისის“ შემფასებელმა, კერძო აღმასრულებლის ზაალ ფირცხალაშვილის 2018 წლის 28 სექტემბრის მიმართვის საფუძველზე მოახდინა მოქალაქე მერაბ გვაზავას საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების შეფასება, საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით. შეფასების ობიექტს წარმოადგენდა საცხოვრებელი ბინა ე.წ. ქალაქურ ეზოში, მდებარე მისამართზე ქ. ქუთაისი, ქუჩა გელათი, N44. ს/კ 03.03.21.070.01.509. პირველ სართულზე განთავსებულია ორი გაურემონტებელი ოთახი. მეორე სართული შედგება: ჰოლის, მისაღების, სამზარეულოს, სამი საძინებლის, სასადილო ოთახის, კიბის უჯრედის, ერთი გაურემონტებელი ოთახისა და სველი წერტილებისაგან. ბინაში შესასვლელი მოწყობილია ეზოს მხრიდან არსებული კიბით, ბინას გააჩნია მეორე შესასვლელიც ქუჩის მხრიდან არსებული სადარბაზოდან. შესაფასებელი ქონების საბაზრო ღირებულებამ 2018 წლის 27 ოქტომბრის მდგომარეობით, შეადგინა 165 000 ლარი. ასევე დადგენილია, რომ 2018 წლის 27 ოქტომბერს შპს „იუვისის“ მიერ გაცემული N01.21.35 დასკვნის მიხედვით - შპს „იუვისის“ შემფასებელმა, კერძო აღმასრულებლის ზაალ ფირცხალაშვილის 2018 წლის 28 სექტემბრის მიმართვის საფუძველზე მოახდინა მოქალაქე მერაბ გვაზავას საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების შეფასება, საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით. შეფასების ობიექტს წარმოადგენდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთი და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობა, მდებარე მისამართზე ქ. ქუთაისი, ქუჩა მესხი, N19. ს/კ 03.01.23.084 შენობაში განთავსებულია კერძო სასწავლო დაწესებულება. პირველ სართულზე განთავსებულია კორიდორი, ჰოლი, თერთმეტი ოთახი და სველი წერტილი. მეორე სართული შედგება: კორიდორის, ათი ოთახისა და სველი წერტილისაგან. ეზო შემოღობილია მავთულის ბადით. შესაფასებელი ქონების საბაზრო ღირებულებამ 2018 წლის 27 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა 488 000 (ოთხას ოთხმოცდარვა ათასი) ლარი.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ კი მოსარჩელემ წარმოადგინა 2018 წლის 22

ნომბერს შპს „აუდიტ-ფრევეგის“ მიერ გაცემული N162 დასკვნა, რომლის მიხედვითაც შეფასების ობიექტის მდებარე: ქალაქ ქუთაისში გელათის ქ. N44 შეფასების დროისათვის 2018 წლის 20 ნომბრის მდგომარეობით საცხოვრებელი ფართის ღირებულებამ შეადგინა 417 935 (ოთხასჩვიდმეტი ათას ცხრაას ოცდათხუთმეტი) ლარი. ასევე 2018 წლის 22 ნომბრის შპს „აუდიტ-ფრევეგის“ მიერ გაცემული N161 დასკვნა, რომლის მიხედვითაც შეფასების ობიექტის მდებარე: ქალაქ ქუთაისში მესხის ქ. N19 შეფასების დროისათვის 2018 წლის 22 ნომბრის მდგომარეობით კერძო საგანმანათლებლო დაწესებულების შენობის ღირებულებამ შეადგინა 876 528 (რვაას სამოცდათექვსმეტი ათას ხუთას ოცდარვა) ლარი.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სააღსრულებო წარმოების მხარეს უფლება აქვს, სააღსრულებო წარმოების დაწყებისას ან აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების შეფასებამდე წარმოადგინოს ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ ექსპერტის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, ქონება შეფასებულია სააღსრულებო წარმოების დაწყებამდე 6 თვის განმავლობაში. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია დაეყრდნოს სააღსრულებო წარმოების მხარის მიერ წარმოდგენილ დასკვნას, ხოლო თუ ერთსა და იმავე ქონებაზე დასკვნები წარმოადგინა ორივე მხარემ – ერთ-ერთ დასკვნას. სააღსრულებო წარმოების მხარის მიერ წარმოდგენილი დასკვნის დასაშვებად მიჩნევის მიზანშეწონილობის საკითხს წყვეტს აღსრულების ეროვნული ბიურო.

საქმეში წარმოდგენილი წინადადებით, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, დასტურდება, რომ კერძო აღმასრულებელ ზაალ ფირცხალაშვილის მიერ მოსარჩელეს, როგორც მოვალეს სრულყოფილად განემარტა მისი უფლებები, აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა და მისი გადახდის წესი. ამასთან მიეთითა, რომ იძულებითი აღსრულების ცალკეულ ღონისძიებათა შესახებ წინასწარ, პერსონალურად დამატებით არ ეცნობებოდა და აუქციონის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიეღო შესაბამისი ვებგვერდიდან. ამ გარემოების გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო მის მიმართ მიმდინარე სააღსრულებო წარმოების შესახებ და შესაბამისად უფლებამოსილი იყო მოეხდინა თავისი უფლებების რეალიზაცია და წარედგინა ქონების შეფასების დასკვნა, რაც არ განუხორციელებია, შესაბამისად უსაფუძვლოა მხარის მითითება ქონების არაკომპეტენტურად შეფასების შესახებ.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლიდან გამომდინარე, მხარეს საკუთარი დაცვის მიზნით, სააღსრულებო

წარმოების დაწყებისას ან აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების შეფასებამდე, შეეძლო წარედგინა ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ ექსპერტის დასკვნა, რაც მან არ განახორციელა. მეტიც, მოპასუხის მითითებით, რაც მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია, ქ. ქუთაისში, მესხის ქუჩა N19-ში მდებარე ქონებაზე დანიშნულია განმეორებითი აუქციონი, ვინაიდან პირველ აუქციონზე ქონება (ფასი მითითებული იყო ქონების შეფასების აქტში მითითებული საბაზრო ღირებულების 75%) არ გასხვისებულა. შესაბამისად, კერძო აღმასრულებელი აღარ არის უფლებამოსილი მოახდინოს აღნიშნული ქონების განმეორებით შეფასება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹-ე მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან. ზემოაღნიშნულ ნორმათა ანალიზისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

4. დასკვნა

სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა შექმნას ისეთი მაკონტროლებელი და გამანონასნორებელი ინსტიტუტები (სასამართლო, სააღსრულებლო უწყება, საბანკო ზედამხედველობითი სისტემა), რომლებიც ერთის მხრივ უზრუნველყოფენ უფლების მართლზომიერად განხორციელებას, მეორეს მხრივ კი სამართლიანი ბალანსის პირობებში, თანაბრად იქნება დაცული პროცესის მონაწილე ყველა სუბიექტის უფლებები. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა შეუძლებელია ბიზნესისა და კომერციული ინტერესების თანაბარი დაცვის გარეშე. ამიტომაც, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიაღგეს სხვას. შესაბამისად, წინამდებარე საქმე, ერთის მხრივ მიუთითებს განათლების უფლების ხელმისწავდომობის საკითხზე, მეორეს მხრივ საკუთრების უფლების დაცვის გარდაუვალ ინტერესებზე. როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში, საკითხი ეხება კომერციული ინტერესების დაკმაყოფილებას, ასეთ დროს კი, სახელმწიფო ქმნის სამენარმეო საქმიანობისთვის შესაბამის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ გარემოს, ხოლო ბიზნესი უნდა დაეფუძნოს კორპორაციული ღირებულებების საერთო პრინციპებს: პატიოსნებას, წესიერებას და პასუხისმგებლობას.

ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია, საკუთარი დასკვნები და შეფასებები წარმოადგინოს კეთილსინდისიერებისა და უფლების მართლზომიერად განხორციელების ურთიერთშეჯერების საფუძველზე და *ქართული სკოლის* საქმეს მიუდგეს შესაბამისი სამართლებრივი ანალიზით. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია წარმოჩნდეს *ქართული სკოლის*, როგორც განათლების უფლებაზე ხელმისწავდომობისა და ამ უფლების გადარჩენის შესაძლებლობები, შეფასდეს ამ პროცესში განხორციელებული მოქმედებების იურიდიული მხარე და კვლევამ ეძებოს საერთო კონსესუსი ყოფილი და ამჟამინდელი მესაკუთრეების საერთო ინტერესების დაახლოებიდან გამომდინარე.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ის სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების სახით წარმოიშვა მხარეთა შორის, რა თქმა უნდა, თავისუფალი ნების პირობებში ფორმულირდა, მაგრამ ქართული ვალდებულებით-სახელშეკრულებო ურთიერთობის პრაქტიკა, რომელიც წარმოიშობა ქართულ კომერციულ ბანკსა და მოქა-

ლაქეთა ჯგუფს შორის, არ უშვებს შემდგომ კომპრომისებს, გარიგებები მუდმივად წარმოადგენს ხელშეკრულების მონაწილე ძლიერი მხარის უპირობოდ დაცულ ინტერესებს, რასაც ამ შემთხვევაში, ბანკი და მისი სტატუსი განაპირობებს. მართალია, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას, მაგრამ ქართულ საბანკო სისტემაში იშვიათია გამონაკლისი საკრედიტო ხელშეკრულებები, რომლებიც სტანდარტულ პირობებთან ერთად, განსხვავებულ, ინდივიდუალურ და კლიენტზე მორგებულ პირობებს ითვალისწინებდეს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემკვები წესების დადგენა, თუმცა, ამ შემთხვევაში, არაერთი ქართველი საბანკო სფეროს სპეციალისტი აღნიშნავს, რომ სწორედ ბანკის მიერ შედგენილი და წარმოდგენილი ხელშეკრულებები მომხმარებელთა მიმართ, წარმოადგენს კაბალურს, ვინაიდან „კლიენტს“ საშუალება არ ეძლევა შეცვალოს ბანკის მიერ დადგენილი წესები, მათ შორის ხელშეკრულებით აღიარებულ პროცენტისა და პირგასამტეხლოს ოდენობებთან მიმართებით. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ამ თვალსაზრისით, გამონაკლისი არ არის ს.ს. „პროკრედიტ ბანკსა“ და ქართულ სკოლას შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებებიც. სწორედ ამ ხელშეკრულებით, მსესხებლის დაუცველ უფლებაზე მეტყველებს ჩანაწერი, რომლის თანახმადაც - მსესხებელი თანახმაა, რომ ბანკმა იძულებითი გადახდევინება მიაქციოს მსესხებლის კუთვნილ ნებისმიერი (მათ შორის არაუზრუნველყოფილი) ქონებაზე. ამასთან, არ არის აუცილებელი, მსესხებლის მიმართ არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით იძულებითი აღსრულება შეეხოს თავდაპირველად უზრუნველყოფილ საგნებს. ბანკის გადანყვეტილებით, შესაძლებელია იძულებითი აღსრულება თავდაპირველად დაიწყოს მსესხებლის კუთვნილ სხვა ქონებაზე. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა (ან შეუსაბამობა ამ ხელშეკრულების პირობებთან) ანიჭებს ბანკს უფლებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მიიღოს დაკმაყოფილება წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულების საგნებიდან. მსესხებელი ცალსახად აცხადებს და ადასტურებს, რომ იცნობს წინამდებარე გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების დადგენილი, მითითებული, გათვალისწინებული ხელშეკრულების (იპოთეკა, გირავნობა სოლიდარული ვალდებულების ხელშეკრულება და სხვა) შინაარსს და უპირობოდ ეთანხმება მათ. ამდენად, იმ პირობებში,

როდესაც „მსესხებელი“ მოკლებულია იურიდიულ შესაძლებლობას ასეთი დათქმები არ გააჩინოს შეთანხმებაში და რისკის ქვეშ დააყენოს მისი ყველა სხვა არაუზრუნველყოფილი ქონება, ბანკს აღნიშნული აძლევს სრულ თავისუფლებას დაიკმაყოფილოს საკუთარი ინტერესები, ჩარევას მისცეს მართლზომიერი სახე და კანონის საფუძველზე ხელყოს მეორე მხარის უფლებები, იმის მიუხედავად, არის თუ არა ხელშემკრელი მხარე კეთილსინდისიერი გადამხდელი და არსებობდა თუ არა ობიექტური გარემოებები ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ქართული სკოლის მიერ ბანკის მიმართ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვია ქვეყანაში განვითარებულმა ცალკეულმა ინფლაციურმა პროცესებმა და ეკონომიკურმა მოვლენებმა, რაც დაუძლეველი რისკი აღმოჩნდა საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის. ქართული სკოლა ბანკს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად უხდოდა ხელშეკრულებით შეთანხმებულ ღირებულებას, მაგრამ გარკვეული დროის შემდგომ, ვალდებულების შესრულება იძულებითი წესით, შეწყვიტა. შესაბამისად, ამ პროცესში, მნიშვნელოვანია ყურადღება დაეთმოს ხელშეკრულების სუსტი მხარის - ქართული სკოლის ქცევას და ქმედებას, რათა დადგინდეს, იყო თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულება მონოდებული, დაეძლია ფინანსური კრიზისი და გაეგრძელებინა ბანკისთვის საკრედიტო ვალდებულების შესრულება. ამასთან, რამდენად მზად აღმოჩნდა ბანკი თანაზომიერი და თანხვედრი გადაწყვეტილებებისთვის, რომელსაც შეეძლო, როგორც განათლების უფლების ხელმისაწვდომობის დაცვა, ასევე საკუთარი კომერციული ინტერესების დაკმაყოფილება და მხარდაჭერის აღმოჩენდა ქართული სკოლისთვის. დადგენილია, რომ 2014 წლის 28 ნოემბრიდან სესხი აღმოჩნდა ვადაგადაცილებაში. 2015 წლის 20 მარტის მდგომარეობით, მერაბ გვაზავას გადახდილი გააჩნდა მხოლოდ 8,461.99 აშშ დოლარი. სკოლამ ბანკს 2016 წელს ორჯერ - 12 თებერვალსა და 21 ოქტომბერს შესთავაზა ცვლილებების განხორციელება ხელშეკრულებაში, სესხის რესტრუქტურისა, ვალდებულების გადანაწილება სკოლის შემოსავლების გათვალისწინებით, რაც გათვალისწინებული არ იქნა. სკოლა ეცადა საკუთარი ძალებით მოხდინა უძრავი ქონების რეალურ საბაზრო ფასად გასხვისება, მოახდინა უძრავი ქონების განთავსება აუქციონის შესაბამის ელექტრონულ გვერდზეც, მაგრამ უშედეგოდ. შესაბამისად, ბანკის მხრიდან საშელავათო პერიოდის დაწესებასა და რესტრუქტურისაზე უარმა კიდევ უფრო მეტად რთულ ვითარებაში ჩააგდო საგანმანათლებლო დაწესებულება. შექმნილმა ვითარებამ გამოიწვია სკოლის საქმიანობის შეჩერება (გაუქმება), მოსწავლეებისა და კვალიფიციური თანამშრომლების გადინება, ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, რაც მიაღწა სკოლას შექმნილი მდგომარეობით. ბანკმა, არსებული რეგულა-

ციებისა და პოლიტიკის პირობებში, ქართული სკოლის სახით, შეიძინა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კაპიტალი - უძრავი ქონებები, მოსპო საგანამანათლებლო კერა, ფაქტობრივად, საცხოვრებელი სახლის გარეშე დატოვა ქვეყნაში კიდევ ერთი შეძლებული ოჯახი, რაც ეკონომიკური გენოციდის ტოლფასია.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ბანკის მხრიდან თანამშრომლობისა და მხარეთა შორის შეთანხმებების მიღწევის შემთხვევაში, ქართული სკოლის წინაშე დამდგარი შედეგების თავიდან არიდება შეუძლებელია. ერთის მხრივ, ბანკს სკოლისთვის საშუალება უნდა მიეცა ალტერნატიული საშუალებებით მომხდარიყო ვალდებულებების შესრულება (რესტრუქტურისაცია, ქონების რეალურ საბაზრო ფასად გასხვისებიდან ვალდებულებების დაფარვა) და მეორეს მხრივ სახელმწიფოს (სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, სასამართლო) სათანადოდ უნდა შეეფასებინა საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, მხედველობაში მიეღო შეფასებულებით უძრავი ქონებების რეალური საბაზრო ღირებულება. დადგენილია, რომ **N18120195** სააღსრულებლო საქმის წარმოების აღმასრულებელმა, რეალიზაციის მიზნით, შეაფასა იპოთეკის უფლებით დატვირთული ორი უძრავი ქონება, მდებარე 1) ქ. ქუთაისი. გელათის ქ. N44, საკადასტრო კოდი: 03.03.21.070.01.509 და 2) ქ. ქუთაისი, მესხის ქუჩა N19, საკადასტრო კოდი: 03.01.23.084. სარეალიზაციო ქონების შეფასება განხორციელდა აღმასრულებლის ინიციატივით მოწვეული ექსპერტის მიერ რეალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასად - კერძოდ, ქ. ქუთაისი, გელათის ქ. N44, საკადასტრო კოდი: 03.03.21.070.01.509 მდებარე ქონება შეფასდა 165000 ლარად და ქ. ქუთაისი, მესხის ქუჩა N19, საკადასტრო კოდი: 03.01.23.084. მდებარე ქონება შეფასდა 48800 ლარად. უძრავი ქონების რეალური ღირებულება კი მერაბ გვაზავას მიერ ჩატარებული ალტერნატიული შეფასებით, შეადგენდა ქუთაისის გელათის N44-ში მდებარე ქონებისა - 417935 ლარს და **ქუთაისი მესხის N19-ში მდებარე ქონების - 876528 ლარს. შესაბამისად, ქონებები შეფასდა ერთ შემთხვევაში - 252935 ლარით და მეორე შემთხვევაში - 388528 ლარით ნაკლები თანხით. აშკარაა, რომ ქონების შეგნებულად დაბალ ფასში შეფასებამ ბანკი ჩააყენა უპირატეს მდგომარეობაში - მისცა მას საშუალება უძრავი ქონებები შეეძინა დაბალ ფასში, რამაც მნიშვნელოვნად დაარღვია თანასწორუფლებიანობის პრინციპი.**

ორგანიზაცია, მოვლენათა შეფასების პროცესში, ყურადღებას ამახვილებს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, როგორცაა საკუთრების რეალური საბაზრო ღირებულების შეფარდება რეალიზაციის ფასთან, ვინაიდან ობიექტურად შეფასდეს, თუ რამდენად სამართლიანად და კონსტიტუციის

პრინციპების შესაბამისად განხორციელდა სკოლის და მერაბ გვაზავას საკუთრების, როგორც ხელშეუვალი უფლების რეალიზაცია სააღსრულებო წარმოების პროცესში. განსახილველ შემთხვევაში, საქმის გარემოებათა პირუთვნელი შეფასების საფუძველზე, ორგანიზაცია მიდის დასკვნამდე, რომ არსებითად შეილახა მერაბ გვაზავას, როგორც მესაკუთრის კონსტიტუციური უფლება, ადეკვატურ და სამართლიან ფასად მომხდარიყო მისი საკუთრების რეალიზაცია. სააღსრულებო წარმოების ეტაპზე, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მიღებული მთელი რიგი არასამართლიანი და კანონთან კონფლიქტში მყოფი გადაწყვეტილებების გავლენით, სარეალიზაციო ქონების ღირებულება შეფასებული იქნება 504 500 (ხუთას ოთხას ოთხას ხუთასი) ლარად, მაშინ როდესაც რეალური საბაზრო ღირებულება შეადგენდა 2,5 ჯერ მეტს, კერძოდ - 1294463 (მილიონ ორასოთმოცდა-ოთხმეტი ათას ოთხას სამოცდასამი) ლარს. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ უგულებელყოფილი იქნა ის სამართლებრივი პრინციპები და დებულებები, რომელსაც სახელმწიფო ორგანოს მოქმედებები უნდა ემყარებოდეს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში. „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანების №1 დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „პირველ აუქციონზე ქონების სანყისი ფასი შეადგენს ქონების შეფასების აქტში მითითებული საბაზრო ღირებულების 75%-ს“. ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს, რომ „პირველ განმეორებით აუქციონზე ქონების სანყისი ფასი შეადგენს ქონების შეფასების აქტში მითითებული საბაზრო ღირებულების 50%-ს“. განსახილველ შემთხვევაში, იძულებით სარეალიზაციო ქონება შეფასდა არაადეკვატურ ფასად, რითაც მესაკუთრეს მოესპო შესაძლებლობა მისი ქონება აუქციონზე გასულიყო იმ მაქსიმალური ღირებულების ფარგლებში, რის შესაძლებლობასაც არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება იძლეოდა. სახელმწიფო ორგანოს მხრიდან მსგავსი დამოკიდებულება ცალსახად მიანიშნებს საკუთრების უფლების არალეგიტიმურ შეზღუდვაზე და იმ პრინციპების პრაქტიკაში განხორციელების შეუძლებლობაზე, რასაც კანონი განამტკიცებს.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“. „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუცია ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. საქართველოს

კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ „საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია“. ორგანიზაცია შენიშნავს, რომ წინამდებარე საქმის მასალებით იკვეთება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა, რა დროსაც სათანადო ინსტრუმენტებით არ იქნა დაცული საკუთრების უფლება. ცალსახაა, რომ სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების არსებობით, კანონმდებლის მიზანია, არსებობდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტორის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მოვალის საკუთრების უფლების გაუმართლებლად და მომეტებულად შეზღუდვის გარეშე. აღნიშნულის მისაღწევად, სახელმწიფოს ამოცანას წარმოადგენს ქონების იძულებით აუქციონზე მაქსიმალურად მაღალ ფასად რეალიზაცია. აუქციონზე ქონების მაღალ ფასად რეალიზაცია ურთიერთობის მონაწილე თითოეული მხარის ინტერესებშია. თუ რამდენად არის შესაძლებელი არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში ამ მიზნის მიღწევა, ეს განხილვის ცალე საგანს წარმოადგენს. **ქონების მაქსიმალურ ფასად რეალიზაციის კუთხით, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ნულოვანი აუქციონის კანონით დეკლარირებულ მექანიზმზე, რომლითაც კრედიტორს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიეცა შესაძლებლობა „კანონიერი“ გზით შეეძინა მილიონიანი ქონება შეუსაბამოდ დაბალ ფასად.**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის ერთ-ერთ უახლეს გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას გონივრული ბალანსი, ერთი მხრივ, ქონების მესაკუთრის, ხოლო მეორე მხრივ, კრედიტორის ინტერესებს შორის, რათა არ მოხდეს არც ერთი მხარის უფლებრივი ინტერესის მომეტებულად შეზღუდვა. „ნულოვანი აუქციონი“ უშვებს ქონების ერთი ფასის მატების ბიჯის ღირებულებად ანუ საბაზრო ფასის 5 პროცენტად რეალიზების შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ სახელმწიფომ ხსენებულ საშუალებას უნდა მიმართოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გამოყენებულია გონივრული მექანიზმები ქონების უკეთეს ფასად რეალიზაციისთვის და ისინი უშედეგო აღმოჩნდა³⁵. მოქმედი საკანონმდებლო რეგულირება ნულოვანი აუქციონის ჩატარებას უშვებს იმ პირობებში, როდესაც მანამდე ჩატარებულ 2 აუქციონზე, შესაძლოა, ქონების საწყისი ფასი მის რეალურ ღირებულებაზე მაღალიც კი ყოფილიყო. ხსენებული კი ვერ იქნება მიჩნეული ქონების ადეკვატურ ფასად რეალიზებისათვის გატარებულ გონივრულ ზომად. პირველ და

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე, N 01/346, რემზი შარაძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ.

პირველ განმეორებით აუქციონზე ქონების საწყისი ფასის ადეკვატური ღირებულების განსაზღვრით, შესაძლებელი იქნებოდა ისეთი მდგომარეობის შექმნა რომელიც, ერთი მხრივ, მინიმუმ, მოქმედი სისტემის თანაბრად უზრუნველყოფს კრედიტორთა უფლებების დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, ნულოვანი აუქციონს მოვალის უფლების ნაკლებად მზღუდველ საშუალებად აქცევს. ამდენად, მნიშვნელოვანი იყო, ეროვნულ დონეზე არსებული საკანონმდებლო ჩარჩო სწორად ყოფილიყო შეფარდებული და გამოყენებული ქართული სკოლის საქმეზე. ეს საქმე, თავისი არსით, წარმოადგენს პრეცედენტს, სადაც თანაბარი ხარისხით ვლინდება, როგორც კრედიტორის არაკეთილსინდისიერება, ისე აღსრულების ეროვნული ბიუროს გაუმართლებელი და არასამართლიანი მოქმედებები, რომელმაც დახურა რეგიონული მნიშვნელობის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულება - ქართული სკოლა, რამაც თავის მხრივ, დარტყმის ქვეშ დააყენა, როგორც განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობა, ისე მესაკუთრეთა უფლებები და მოუსპო მათ საარსებო შესაძლებლობა.

სწორედ ამ კონტექსტშია მნიშვნელოვანი ქართული სასამართლოების გადაწყვეტილებებიც, რომლებმაც არ გაითვალისწინეს სკოლის და მისი მესვეურების მოთხოვნები და შუამდგომლობები. 2018 წლის 29 ნოემბერს, მერაბ გვაზავამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ქმედების განხორციელების დავალება. კერძოდ, მოპასუხე კერძო აღმასრულებელ ზაალ ფირცხალაიშვილს დავალებოდა ქმედების განხორციელება: იპოთეკის უფლებით დატვირთული ორი უძრავი ქონების, მდებარე: 1. ქ. ქუთაისი, გელათის ქუჩა #44, ს/კ 03.01.21.070.01.509, რეალიზება და ამონაგები თანხიდან ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილება, 2. ქ. ქუთაისი, მესხის ქუჩა #19, ს/კ 03.01.23.084, ხელახალი შეფასება. მერაბ გვაზავა თავიდანვე არ დაეთანხმა მის საკუთრებაში არსებული ორი უძრავი ქონების შეფასებას და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა კერძო აღმასრულებლის წარმოებაში არსებული სააღსრულებლო საქმის წარმოების შეჩერება, სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რაც სასამართლოების მხრიდან უსაფუძვლოდ არ იქნა გაზიარებული. სასამართლოებმა სათანადო კვლევის, შეფასებისა და არგუმენტის გარეშე დატოვეს საქმეზე არსებული ობიექტური რეალობა - „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის თანახმად, პირველ აუქციონზე უძრავი ქონების საწყისი ფასი არის შეფასების თანხის 75%. დაბალ ღირებულებად შეფასებული ქონება აუქციონზე დაბალი საწყისი ფასით გამოდის, რაც იქნებოდა გამოუსწორებელი ზიანი სკოლისთვის. ქუთაისი, მესხის ქუჩა N19 მდებარე ქონების საწყისი ფასი იქნება 366000 ლარი (დავალიანება 372190 ლარია, ხოლო აღსრულების ხარჯი 7%). აუქციონზე გაიყიდება, ასევე მოსარჩელის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული მეორე უძრავი ქონება (საცხოვრებელი სახლი,

მდებარე გელათის N44) მისი საწყისი ფასი იქნება 123 750 ლარი და ამოგებული თანხით დაიფარება დარჩენილი დავალიანება და ესეც არ იქნება საკმარისი სრული დავალიანების დასაფარად, მოხდება სხვა მოვალეების კუთვნილი ქონებების რეალიზაცია და ეს ყველაფერი იმის გამო, რომ სარეალიზაციო ქონებები თითქმის ნახევარ ღირებულებად შეფასდა. იპოთეკის საგნის დაბალ ფასად გაყიდვის შედეგად ამონაგები თანხა არ არის საკმარისი სასესხო ვალდებულების და ხარჯების დასაფარად, რის გამოც, დარჩენილი ნაშთისთვის, სააღსრულებლო წარმოება გაგრძელდება და აღსრულება მოვლის სხვა ქონებაზე, თუ არ მოხდება სააღსრულებლო წარმოების შეჩერება, იპოთეკის საგნის რეალიზაცია განხორციელდება არარეალური (დაბალი) ფასის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე კი შეიქმნებოდა მდგრადობა, როცა აუქციონზე ქონება გაიყიდებოდა და დავის შემდგომში გაგრძელებას იურიდიული აზრი დაეკარგებოდა. შესაბამისად, ორგანიზაციას მიაჩნია, რომ სამართალწარმოებაში არსებული სხვადასხვა ხარვეზების მიუხედავად, ვინაიდან საქმე შეეხებოდა საკუთრების უფლების დაცვას და მხარეთა შორის თანაზომიერების პრინციპის უზრუნველყოფას, სასამართლოებს გააჩნდათ შესაძლებლობა მეტი დასაბუთებით დაეცვათ ხელშეკრულების მონაწილე სუსტი მხარის ინტერესები. სასამართლო, როგორც წესი, მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილ მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტზე და აღნიშნავს, რომ არცერთ მტკიცებულებას არ გააჩნია რაიმე უპირატესობა სხვა მტკიცებულებასთან შედარებით. არცერთ მტკიცებულებას არა აქვს, აგრეთვე, წინასწარ დადგენილი ძალა სასამართლოსათვის. მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლოს ექმნება შინაგანი რწმენა, რომელსაც საფუძვლად უდებს გადამწყვეტილებას. ამდენად, სასამართლო სადავო გარემოებათა არსებობა-არარსებობის დადგენისას ინდივიდუალურად და ერთობლიობაში აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის შედეგად აყალიბებს თავის შინაგან რწმენას გამოსაკვლევი საკითხის მიმართ. შინაგანი რწმენის ჩამოყალიბება მოსამართლის მიერ ხდება არა სუბიექტურად, არამედ ობიექტური მიუკერძოებლობის კონტექსტში შესწავლილი მტკიცებულებების და ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. მართლმსაჯულების მიზანი მტკიცებულებათა ერთობლივი ანალიზის, მათი ობიექტური და სრულყოფილი შესწავლის შედეგად ჭეშმარიტების უტყუარად გამორკვევაა იმგვარად, რომ დადგენილი გარემოება არ ემყარებოდეს მხოლოდ ვარაუდს, არამედ განპირობებული იყოს საქმის მასალების ერთობლივი ანალიზით.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის არაერთ განჩინებაში განმარტა, რომ - „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, თუ

რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მხარე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომელთა შემონიშნაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით. ანუ, სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტარქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი შემადგენლობის არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას” (იხ. სუსგ #1529 -1443 -2012, 09.12.2013 წ.; ას-502-476-2015, 24.12.2015 წ.). საქართველო უზენაესი სასამართლოს განმარტებით - „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ავალდებულებს მოსარჩელეს, სარჩელში მიუთითოს იმ სამართლებრივ საფუძველებზე, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს, თუმცა ასეთის მიუთითებლობა ან ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასება არ შეიძლება იყოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. მხარის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების კონკრეტულ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენა სასამართლოს უფლებაცაა და ვალდებულებაც. დავის სამართლებრივი შეფასებისას მოსამართლე სრულიად დამოუკიდებელია, განსხვავებით პროცესის ფაქტობრივ საფუძველებზე მუშაობისაგან და არ არის შებოჭილი დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებით. თუ საქმის მასალებზე დაყრდნობით და სხვაგვარი დასაბუთებით, კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია, მოსამართლეს სხვა გზის არჩევის უფლება არ აქვს. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სამოსამართლო საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას“ (იხ. სუსგ #ას-833-885-2011, 18.10.2011 წ.). ამდენად, ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ საქმის განმხილველ მოსამართლეებს სკოლის და მერაბ გვაზავას მოთხოვნებზე სხვა გადაწყვეტილების მიღების უფლება გააჩნდათ, რაც არ არღვევდა კანონს და შესაძლებელი იყო დაკმაყოფილებულიყო მოთხოვნები - მოპასუხე კერძო აღმასრულებელ ზაალ ფირცხალაიშვილს

დავალებოდა ქმედების განხორციელება: იპოთეკის უფლებით დატვირთული ორი უძრავი ქონების, მდებარე: 1. ქ. ქუთაისი, გელათის ქუჩა #44, ს/კ 03.01.21.070.01.509, რეალიზება და ამონაგები თანხიდან ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილება, 2. ქ. ქუთაისი, მესხის ქუჩა #19, ს/კ 03.01.23.084, ხელახალი შეფასება, რაც იქნებოდა მხარეთა შორის სამართლიანი ბალანსის პრინციპის დაცვა.

ამასთან, ორგანიზაცია არსებული სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, რა დროსაც პირვანდელ მესაკუთრეს მოესპო სამართლიანი საბაზრო ფასის დადგენა, თანასწორუფლებიანი და კონკურენტუნარიანი გარემოს პირობებით მოქმედება, საფუძვლიანად სვამს კითხვას, ჩატარებული აუქციონის შედეგად, სკოლისა და მერაბ გვაზავას ქონებების ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ შვილობილი კომპანიის - შპს „პროკრედიტ ფროფერტის“ საკუთრებაში გადასვლით, არის თუ არა შპს „პროკრედიტ ბანკი“ მისი შვილობილი კომპანიის სახელით მისაკუთრებული უძრავი ქონებების კეთილსინდისიერი შემძენი და მფლობელი? აღნიშნული საკითხის კვლევის პროცესში, ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებას, სადაც პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა კრედიტორისა და მოვალის ურთიერთობებში კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების მოვალეობის დარღვევის შედეგად კრედიტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების თაობაზე³⁶. ორგანიზაცია ინტერესს იჩენს კეთილსინდისიერების საკითხის მიმართ სასამართლოს შემდეგი მსჯელობის თაობაზე, რა დროსაც საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია.

